ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1411685

ნომერი: AR1240155

თარიღი : 25.07.2014

გაცემის თარიღი : 15.08.2014

გაცნობის თარიღი : 15.08.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 6 / ქალაქი თბილისი , შატბერაშვილის ქ. N6-ის მიმდ (01.14.11.060.024-ის მიმდ);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ კუჭავა პ/ნ 01010008127
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ III კვ. კორ. 10 ბ. 29

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 25 ივლისს #AR1240155 განცხადებით მომართა შპს „MK Development“–ის დირექტორმა მიხეილ კუჭავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 17.07.2014 წ. #1391675 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: დამკვეთად ნინო გელაშვილის, მანანა მერკვილაძისა

და თამარ ყაჭეიშვილის ნაცვლად შპს „MK Development“–ის დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.07.2014 წ. #1391675 ბრძანებით ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა #6 / ქ. თბილისი, შატბერაშვილის ქ. #6-ის მიმდებარედ (#01.14.11.060.024-ის მიმდ), თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.11.060.073) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტში დამკვეთებად მითითებულნი არიან ნინო გელაშვილი, მანანა მერკვილაძე და თამარ ყაჭეიშვილი.

მოგვიანებით, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე 04.08.2014წ. 1415896 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 05 აგვისტოდან 2016 წლის 05 ოქტომბრის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დაკვეთად დაფიქსირდა მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრე, შპს „MK Development“–ი.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, დღეის მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „MK Development“–ი (განაცხადის #882014393232, ამონაწერის მომზადების თარიღი: 28/07/2014, საკადასტრო კოდი: #01.14.11.060.073).

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა 2014 წლის 25 ივლისის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ნინო გელაშვილმა, მანანა მერკვილაძემ და თამარ ყაჭეიშვილმა საპროექტო მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: #01.14.11.060.073) 17.07.2014 წ. #1391675 ბრძანებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი საკუთრებაში გადასცეს შპს „MK Development“–ს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 20-ე მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან პროექტის შეთანხმების სტადიაზე ნებართვის გამცემი ორგანო არ იკვლევს სამშენებლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას (მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე დამკვეთს წარმოადგენს განმცხადებელი), სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დამკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით ცვლილება შეიტანოს პროექტის შეთანხმების შესახებ 17.07.2014 წ. #1391675 ბრძანებაში. თუმცა, თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 04.08.2014წ. 1415896 ბრძანებაში დაკვეთად დაფიქსირდა შპს „MK Development“–ი.